

ელექტრონული არჩევნები საქართველოში: საზოგადოებრივი მზაობისა  
და ნდობის ანალიზი

ნინო ზაკალაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა : საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024წ.

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოში საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების ინტეგრირებას, იკვლევს საზოგადოების მზაობისა და ნდობის დონეს აღნიშნული ტიპის საარჩევნო პროცესების მიმართ და ამასთანავე, სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი ეთმობა ელექტრონული არჩევნების ადმინისტრირების პროცესებს, გამოწვევებსა და მიღწევებს საქართველოში.

ელექტრონული არჩევნები, ტექნოლოგიების სრული თუ ნაწილობრივი ინტეგრირებით, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გამოიყენება. საინტერესოა, რომ მიუხედავად მრავალი წარმატებული პრაქტიკისა, არის ქვეყნები, სადაც ელექტრონული არჩევნები წარუმატებელი აღმოჩნდა გარკვეული მიზეზების გამო. ვინაიდან საქართველოში საპარლამენტო არჩევნებში ჯერჯერობით არ ყოფილა ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა, მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი რიგგარეშე/შუალედური არჩევნების დროს საპილოტედ იყო გამოყენებული და სწორედ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იგეგმება ტექნოლოგიების მასშტაბური ინტეგრირება არჩევნების პროცესებში, წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ფოკუსირებულია ელექტრონული არჩევნების ფორმატზე გადასვლის მოსამზადებელ პროცესებზე.

კვლევის პირველი ნაწილი ეხება საქართველოს მოქალაქეების მზაობის შეფასებას, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ მოქალაქეების მხრიდან სრულყოფილად იყოს ათვისებული საარჩევნო ტექნოლოგიები, რათა არჩევნები ჩატარდეს წესების სრულად დაცვით და მაქსიმალური სიზუსტით. ამასთანავე, შეფასდება საზოგადოების მხრიდან ნდობა ამგვარი ფორმატის არჩევნების შედეგების მიმართ, რამდენად ობიექტურად და სამართლიანად მიიჩნევენ ელექტრონული არჩევნების შედეგებს, თუ პირიქით, თვლიან, რომ ელექტრონულ არჩევნებზე უფრო დიდია ხმებისდათვლის პროცესში უზუსტობა ან შედეგების გაყალბება.

გარდა საზოგადოების მზაობისა, ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ელექტრონული არჩევნების დაგეგმვისა და ინტეგრაციის პროცესების ადმინისტრაციული გამოწვევები და მიღწევები. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების

პროცესებში ტექნოლოგიების გამოყენება ამარტივებს საარჩევნო პროცედურებს გრძელვადიან პერსპექტივაში, ელექტრონული არჩევნების დანერგვა შესაძლოა, რომ საკმაოდ დიდ გამოწვევად იქცეს ქვეყნისთვის. ცხადია, ქვეყნები იყენებენ ერთმანეთის გამოცდილებას ელექტრონული არჩევნების დაგეგმვის პროცესში, თუმცა, თითოეული ქვეყანა, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგება. ნაშრომში გაანალიზებულია ის ძირითადი ტექნიკური თუ ადმინისტრაციული პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დადგა საქართველო ელექტრონულ არჩევნებზე გადასვლის პროცესში და აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების გზები.

## Abstract

The master's thesis addresses the integration of electronic technologies in the election processes in Georgia. It examines the public's readiness and trust level towards this type of election processes. Additionally, part of the thesis is devoted to the processes, challenges, and achievements of electronic election administration in Georgia.

Electronic elections, with full or partial integration of technologies, are used in many countries around the world. Interestingly, despite many successful practices, there are countries where electronic elections have failed due to certain reasons. Since there has been no practice of using technology in parliamentary elections in Georgia so far, and it was only used during a few local special/interim elections, it is during the parliamentary elections of 2024 that large-scale integration of technologies into the election processes is planned. This paper mainly focuses on the preparatory processes for the transition to the electronic election format.

The first part of the research assesses the readiness of the citizens of Georgia and examines to what extent it is possible for citizens to fully utilize the election technologies so that elections can be held in full compliance with the rules and with maximum accuracy. Additionally, it assesses the public trust in the results of this type of elections, including how objective and fair they consider electronic election results to be, or whether they believe that inaccuracy or falsification of results in the vote-counting process is greater in electronic elections.

In addition to public readiness, the second part of the paper discusses the administrative challenges and achievements of electronic election planning and integration processes. Although the use of technology in election processes simplifies election procedures in the long run, the introduction of electronic elections may present a significant challenge for the country. While countries often use each other's experiences in planning e-elections, each country faces different challenges based on its specific context. The paper analyzes the main technical or administrative problems and challenges that Georgia faced in the process of transitioning to electronic elections and the ways to address these challenges.